

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქალაქი ბათუმი

2021 წლის-----

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-----

„ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩების კვეთაში არსებული სარეკრეაციო (გამწვანებული) ტერიტორიისთვის, სკვერის სტატუსის და მასზე ზაქარია ფალიაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩების კვეთაზე არსებულ სარეკრეაციო (გამწვანებულ) ტერიტორიას მიენიჭოს სკვერის სტატუსი ეწოდოს ზაქარია ფალიაშვილის სკვერის სახელი.
2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას წინამდებარე განკარგულების თანახმად, განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩების კვეთაში არსებული სარეკრეაციო (გამწვანებული) ტერიტორიისთვის, სკვერის სტატუსის და მასზე ზაქარია ფალიაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე“
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტის მიზანია პატივი მივაცოთ სასიქადულო მამულიშვილსა და კომპოზიტორს, დირიჟორსა და საზოგადო მოღვაწეს, პედაგოგს, საქართველოს სახალხო არტისტს, ქართული ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელს, კლასიკოსს - ზაქარია ფალიაშვილს.

2021 წელს ზაქარია ფალიაშვილს დაბადებიდან 150 წელი უსრულდება. ვინაიდან ბათუმში, მისივე სახელობის სამუსიკო სკოლა არსებობს, უპრიანია იქვე არსებულ რეკრეაციულ ზონაში არსებულ ტერიტორიას ეწოდოს ზაქარია ფალიაშვილის სახელი.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩების კვეთაში არსებული სარეკრეაციო (გამწვანებული) ტერიტორიისთვის, სკვერის სტატუსის და მასზე ზაქარია ფალიაშვილის სახელის მინიჭება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის თანხმობა.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია

ვ) პროექტის ინიციატორი:

ა(ა)იპ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

ირაკლი პატარიძე



26 მაისის ქ.

ვაჟა-ფშაველას ქ.

დედოფალ თავედაშვილის ქ.

ზურაბ ასათიანის ქ.

ზურაბ გორგილაძის ქ.

სიკორის ბარათაშვილის ქ.

მემედ აბაშიძის ქ.

ფარნავაზ მუჯის ქ.

ვახტანგ გორგასლის ქ.

საბურთალოს რაიონის ქ.